კვირა, 4 ოქტომბერი

ფასი 10 კაპ.

94/2
1909



# მათრახი

და სალამური

№ 17

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



1876

**ოზურგეთის მომავალი რეალური გემნაზია.**

ბებურიშვილი ბებური
ოფლისგან დაიწურება,
რეალურ გიმნაზიისთვის
თავი არ დაეშურება!
პლატონი, (ვიცე გალავა)
წელში მოხრილი რკალათა
მისდევს გალავას და მიაქვთ
„ჰიგიენური“ კალათა.
საგიმნაზიო შენობას
თვალი ვერ ნახავს ამგვარსა,
თანაბრათ შეეფერება
კარგ ამინდს, სასტიკ ავდარსა.
ბჭე განიერი, ნათელი,
ქარ-ბუქის გამტარები,
ჟეშტისა ნაცვლად გვიმბრა აქვს
მას თავზე დანაფარები.
ვერას დააკლებს ვერც თოვლი,
ვერც სეტყვა, წვიმის ცვარები,
არც დაიწვება არას დროს
ცეცხლისა მიუკარები.
—მიკვირს ეგ ყვავი რაღაა?
პლატონსა ჰკითხავს ბებური
ნუთუ არ მოსწონს საზიზღარს
ჩვენი სასახლე მეფური?
—აბა რა ვიცი, გენაცვა,
რისთვის დაგვჩხავის პირშავი...
ვშიშობ არ გასწყრეს რაზედმე
ჩვენი ახალი პრისთავი!

—რა გულმოდგინეთ დაგვყივის
ერთი შეხედეთ ტიალსა!
იქნებ ეს მოასწავებდეს
ვასილის კვანტის ტრიალსა?
მწარეთ დაღონდენ, ვერა სცნეს
რა სურდა ყვავსა ყვანჩალოს,
არც მარჩიელი გამოჩნდა
მათ აუხსნას და ასწავლოს.

—კი.



# ეშმაკის ინტერვიუ.

**გრიგოლ რობაქიძესთან.**

— ძიგ! ძიგ! ბაგ! ბუგ! იქომდა გული ჩემი, როცა სოფ. ქვიშხეთში პატივცემულ კოტე ყიფიანის სახლს ვუახლოვდებოდი. როგორც გავიგე, ეს ოჯახი გააბედნიერა საქართველოს ამომავალმა მზემ თავისი სტუმრობით და მეც მოუდრეკელი სურვილი მქონდა მენახა ის, თუნდ ერთის საათით მებაასნა ჩვენს ეროვნულ სიამაყესთან.

გრიგოლი, მაღალ ყელოვან ყალოშებში ფეხ ჩაბრძანებული, ბოლთასა სცემდა სახლის ფართე-ბჭეოვან აივანზე; თვალ წინ ხელის გულსავით სწორ დაცემული მტკვრის ხეობა გადაშლოდა და ატკბობდა მას თავისი მშვენიერი სანახაობით.

ვინ იცის რაზე ფიქრობდა მაშინ გრიგოლის მაღალ-განიერება! ვინ იცის როგორი სინტეტიურ ანალეტიურ რეალობას ამხილებდა მისი გონების სკვნა როგორი არრაციონალური ქმნა სახიერდებოდა მისი გონიერების მოკვეთილებაში!?! მაგრამ მე მაინც ვამჯობინე ჩემს რეალურ სტუმრობის ყოფამდე ჩამომექვეითებია მისი უმწვერვალეს კიდურზე აღნუსხული ოცნებობის განსახიერება.

— მადლობა უფალს, რომ ჯანმრთელად გხედავთ, მზეო საქართველოსავ! მივესალმე აღმოსავლეთის ყაიდაზე, მცირედ შეწუხებულ ფილოსოფოსს.

— გარნა გშვენით მადლისა ყოფა, რამეთუ მას შინა მხილდების საზღვრული სურვილი კეთილისა, თუმცალა განყინვული სურნვა არა იქმს რასა.

— ახლა როგორა გრძნობთ თავს, ბ-ნო ჩემო?

— როგიარ? გარნა ინდივიდუალ ყოფა აქტუალობისა ჩემისა, რაიცა ანალეტიურ სახიერდება ჩემსავე ყოფადდებაში ელოდდის სენთა მიმღეობას ასლად უნივერსალ ყოფისა?

— რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხი ძლიერ დაღონა თქვენმა უქეიფობამ.

— მეოცების, ვითარმედ მეორე ამისა აბსოლუტი არსის რეალური ყოფის უარყოფა ვერსად წავა.

— რამდენი წარჩინებული გვინახავს, ჩემო კეთილო, წარსული გარეშე რეალური ყოფისა! დავსძინე მე.

— გარნა თუ მქნელი არსი არ იქცევა ნაქმნარ ყოფად სრულებით და იკავებს სუბსტანციალობას არსებობის იქითა მხარეს ყოფისა, სამაგიეროთ ნაქმნარი რეალობა აბსოლუტ ყოფად გამოუყვის მას და ცალკე ყოფს თავისს ყოფას აქეთა მხარეს არრაციონალურ კვეთილებად განსახივრებულ ყოფისა.

— საოცარია თქვენმა მზემ! მე მაგას ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, სწორეთ საოცრებაა!!

— აქტუალური მიმღეობა უნიერსალობისა, წარმოიშვის საზღვრული სახიერებიდან სუბექტ-ობექტივაციისა და მიგიყვანს თქვენ იმ პუნქტუალობის კვეთილ უკიდურეს კიდურამდე, გარეშე რომლისა გონება ადამიანსა ვერარას წვდების.

ჩვენში დარჩეს და ცოტა გაუგებრათ ლაპარაკობდა „ჩემი ობექტის სუბექტიური სახიერება,“ მაგრამ გაგონილი მქონდა: ყოველი ფილოსოფოსი გაუგებარ ენაზე ლაპარაკობსო და მეც შევურიგდი, ვინაიდან ჩემი მოსაუბრე თუ ნამდვილი არა, „ასლი“ მაინც არის ფილოსოფოსთა.

— მაშ თქვენ ამ ჟამად სრულიად ჯანმრთელად გრძნობთ თავს? შევეკითხე ცოტა დარცხვენით.

— მქმნელი არსი ჩემი, ნაქმნარ ჯანმრთელად ყოფისა არს გომართელი, რომლის ნაწილთა მიმღეობისა გამო განსახიერდა ჩემში არსი სინტეტიურ ნაქმნარ ყოფისა.

— ამბობენ თქვენ ახლო მომავალში ნ. ბარათაშვილზე ლექციის წაკითხვას აპირებთ? არა?

— გარნა თუ გამხილდება სურვილი გომართელისა ქმნად ამისა, ვითარმედ მიმღეობა მისი ნაწილდებისა ბადებს სხვაობას განწევრებულ აზრისა.

— გომართელი არ დაიშურებს დახმარებას, ესე ცხად არს!

— კვალადცა მივიღე განსახიერება ფსიხიურ პრინციპისა მისისა, თუმცალა ეკრძალვის შემდგომად ჩემსა ან უწინარეს აქტუალობისა ჩემის ნომინალისტური რეალობისა განასახიეროს აზრი თვისი.

— როგორ, განა არ შეუძლია რაიმე დახმარება აღმოგიჩინოსთ?

— გარნა შესაძლებელ ყოფს დახმარებასა, მხოლოდ ეკრძალვის ჰოჰოსა თვისისა რეალურ ყოფა უწინარეს, ანუ ქვემორე ჩემსა.

— ნუთუ მისი ონტოლოგიური რეალობის მრავალ შემცველობა არ განისაზღვრება ნომინალისტურ თეორიის სკვნით?

— გარნა არა გჯერათ თქვენ სიტყვიერება და იმჩნევთ მას მცდარ სკვნად, ისმინეთ თქვენ რეალური გონება, რომელიც მხილდება ამ ქმნილებაში.

მან უცებ ამოიღო ჯიბიდან პატარა წერილი და დაიწყო კითხვა. სახეზე „უცვლელი ყოფა წარევლინა“ და სიამოვნების ელფერი დაედო. მეც მესიამოვნა!

— აი სმენად ყოფდეთ!

განვემზადე სმენად.

— „პატივცემულო გრიგოლი! ძლიერ მეუცხოვა თქვენი წერილი და მით უმეტეს თქვენი წინადადება! თქვენ, რომელიც მხოლოდ ერთი ხართ საქართველოში, ერთი რომელსაც არა სჭირია სხვისი დახმარება, თქვენც მე მთხოვთ დახმარებას. ყოველი მოქნევა თქვენის ჯნისა არის შემოქმედება, უცილობელი, უსაზღვრო და მიუწდომელი!“

— ნუთუ, ბ-ნო გრიგოლ, ყოველივე ეს მართალია? ნუთუ მართლა სწერია?

უნდა გამოვტყდე: იჭვიანი კაცი ვარ!

— სწერია და გარნა მხოლოდ ესე ჟითარი? სმენა ჰყავ შემდეგომისა. „რას ნიშნავს ჩე(?)ი დახმარება თქვენთვის? ეს ნიშნავს ვოდევილს შემდგომ დრამისა, ეს ნიშნავს ბოლოკს შემდგომად სადილისა. თქვენ ხართ მხოლოდ ერთი, ერთად ერთი, ძე საქართველოსი, რომლისთვისაც მეტია ვისიმე დახმარება“...

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო! უნებლიეთ ამომწყდა გულის კიდურიდან ოხვრა დამწველი.

— ესე ყოველი წარმოიშვის გომართელისა მიერ და გარნა მხოლოდ ესე? სკვნა წერილისა ამისა არა არს ქვეჲით ყოფილი და უკვეთელი, რამეთუ მთელი ჰქმნის ნაწილებსა და სახიერდება სხვაობათა განწევრებაში. ბ-ნო ეშმაკო, მე ვარ სული ეროვნებისა ჩვენისა, მე ვარ საჯდომი სულისა ეროვნულისა! გარნა ქიქოძე იგი გერონტი არა სცნობს საჯდომელსა ეროვნულ სულიერ რეალობისა, მაგრამ საჯდომი იგი მე ვარ! სინტეტიურ-ანალეტიური სახიერება ეროვნული სულისა გამოიკვეთა ჩემში და დაჯდა იგი ჩემში აქტუალობითა და სუბსტანციალობითა თვისითა.

— ღმერთო მაღალო! შენს მოწყალებას ნუ მოაკლებ ჩვენ ტანჯულ ხალხსა! ბ-ნო გრიგოლ, თქვენ მე მომანიჭეთ სიმშვიდე არსებობისა, რადგანაც საკუთარ არსში განასახიერეთ საჯდომი ეროვნულისა სულისა ჩვენისა.

— გარნა ესე არს მქმნელი არსი და ნაქნარის ყოფა? სხვაობა უნივერსალობისა არ დადის უკვეთელ უსაზღვროებამდე. მე ვარ არა მხოლოდ საჯდომი ეროვნული სულისა, არამედ ზე კაცი, არსი ირრაციონალური სხეულებისა, ასლი პლატონისა და აბსოლუტი რეალი განყენებული ყოფისა. ჯერ მე ახალგაზრდა ვარ ბ-ნო ეშმაკო, და აი რასა სწერს გომართელი, რომელიცა სუბექტიური განყენებით არს სუბტანცია უნივერსალობისა და კვალად ზე კაცი თანაარს ჩემად: „თქვენ, ბ-ნო გრიგოლ, მხარზე გაწევთ მთელი საქართველო, თქვენს შემოქმედებით ნიჭს შეუძლია სძლიოს ყოველივე დაბრკოლება. რა არის ჩემი დახმარება თქვენი ხეთქილი გენიალობისათვის, თუ არ იგივე სულის ბერვა უსუსურისა, ავარდნილ ქარიშხალის დასახმარად?“ სმენად ყოფთ ბ-ნო ეშმაკო? დიახ, გარნა მე ჯერედ ახალყოფას განვიცდი და შემდგომად ათისა წლისა მეპყრას ერი ჩვენი არა მხრებსა ზედა, არამედ ხელზედ, ერთ არსებულზედა. ხოლო შემდგომად ოცისა წლისა ვატარო ეროვნება ჩვენი ნეკითა ჩემითა, რამეთუ მე ვარ საჯდომი სულისა და სხეულება ეროვნებისა ჩვენისა.

— დიდ აარს ძალა უფლისა, ბატონო ჩემო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და დამხმარე!

— რასა იტყვით ბ-ნო ეშმაკო, გარნა მრავალშემცველი სუბსტანცია ჩემი რეალი აქტივობისა არ ალჭურვილარს სინტეტიური ინდივიდუალობის ობექტივაციით და გარნა ყოფა ჩემი ფსიხიური პრობლემისა არ პოებს სკვნას ონტოლოგიურ უკვეთელ მიმდეობაში?

— სრული ჭეშმარიტებაა, მნათობო საქართველოსავ და საჯდომო ეროვნული სულისა!

— მაშ ცნობად ყოფდეთ მე ვარ ზე-კაცი, სული ეროვნებისა, სკვნა უნივერსალური ყოფისა!

ჩემს თავსაც და ფილოსოფოსსაც დაღლილობა შევატყვე. განვიზრახე, დამებრუნებია მისთვის რეალობა ოცნებით დატკბობისა და ასვლა იმ უკიდურეს კიდურამდე, რომელის იქითა ყოფას ადამიანის აზრი ვერ წვდება.

— მშვიდობით გნახეთ, ბ-ნო გრიგოლ, გისურვებთ ყოველივე სახიერებას ცხოვრების მიმდინარეობაში! მშვიდობით!

— მშვიდობით ყოფდეთ, ბ-ნო ეშმაკო, გახსოვდეს, რაოდენ მრავალ შემცველ არს არსება ჩემი ინდივიდუალობისა. გახსოვდეთ, მე ვარ ზე-არსი, მე ვარ სუბსტანცია და საჯდომი ეროვნული სულისა.

მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება!

ეშმაკი.

## დავრჩები მარტო!

—

დავრჩები მარტო! ვგრძნობ ობოლ გულსა
შემოესევა უსასოება
და წარმიდგება ღამის დუმილში
საწუთროს ხვედრი, ამოება!
ღამის ნიავის სხვა დროს ალერსი,
ჩუმი ტიტინი და ტრფობის ლექსი—
დღეს მომესმება საფლავის ხმადა,
გადამექცევა გლოვის ზარადა.
უსასოება ისევ მომიცავს,
მის კლანჭებიდან არვინ დამიცავს...
ხმას არვინ გამცემს, ჭირვეულ კითხვას,
მოვისმენ წყევას, მოვისმენ კიცხვას...
ღამის სიზმრები გამიავდება,
თვით ღამეები გამიგძელდება.
ხელს ვერ მოვკიდებ ჩემსა კალამსა,
ველარ მოვისმენ მისსა სიტყვებსა...
იდუმალ ღამეს იგი დაარღვევს
და ავთა სულთა გარს შემომასევს...
ვინ დამიფარავს? დავრჩები მარტო;
ისევ ობლობა და სატანჯველი
რათ აღარ ვხედავ, სად არის იგი,
ჩემი ღვთაება, ჩემი მფარველი?

**იასამანი.**





## კრიტიკოსთან.

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

**გამოსვლა 6.**

(შემოდის მეორე)

მეორე. გამარჯობათ! (ხელს ართმე-
კრიტ. გაგიმარჯოთ! ვენ ერთმანეთს)
**კრიტ.** ოქროცვარაძე, გთხოვთ!
მეორე. (ჯდება).
**კრიტ.** (პაპიროსს ამოიღებს)
მეორე. (სწრაფად ამოიღებს თავის კოხტა საპაპიროსეს და მიაწოდებს) გთხოვთ, პირველი ხარისხისაა.
**კრიტ.** გმადლობთ! (ჩამოართმევს).
მეორე. (ისიც ჩაიდებს ერთს პირში და ორივენი გააბოლებენ).
**კრიტ.** რას იტყვით ახალს?
მეორე. (დაახველებს) უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ, გამოგიცხადოთ ჩემი ულრმესი ალტაცება იმ საშვილიშვილო საქმისათვის, რომელსაც ეწევით ქვეყნის სასარგებლოთ. ჭეშმარიტად,—ქართველობამ ამ ბოლო ხანებში დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ.— იმ დღიდან, რაც პრემია გამოცხადდა, საქართველოს მოდუნებული მაჯის ცემა კვლავ გაძლიერდა სასიცოცხლოთ. ვერ წარმოიდგენთ, რა აუწერელი ალტაცება გამოიწვია ამ გარემოებამ სხვადასხვა წრეებში და რა სასოებითა და იმედებით შემოგყურებს, ზეგარდმო მადლით ცხებულო კრიტიკოსო, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა!
**კრიტ.** დაბრძანდით, დაბრძანდით! თქვენ რომ უცხო კაცმა გიყუროთ, ეგონება, თითქოს საქართველოს ყოფნა არყოფნა პიესების წერაზე და პრემიების გამოცხადებაზე იყოს დამოკიდებული. ღმერთმა მტერს ნუ დამართოს ასეთი საჯაყი საქმე. რა საჭიროა ეს პატეტიური წინასიტყვაობა სოქვით პირდაპირ რაცა გსურთ, და მორჩა. პიესა გაქვთ?
**მეორე.** (თვალების ბრიალით) დიახ — თუ შეიძლება ეგრე ითქვას... მე დავსწერე პიესა.
**კრიტ.** ეგრე იტყოდით დალოცვილო. მიბოძეთ!
**მეორე.** ინებეთ!
**კრიტ.** დრამაა თუ კომედია?
**მეორე.** ორივე ერთად. ისე როგორც სინამდვილეში.
**კრიტ.** თქვენ რა მოხელე ხართ?
**მეორე.** უკაცრავად, ეგ ჩემი საიდუმლოებაა.
**კრიტ.** სად გისწავლიათ?
**მეორე.** არც ეს შეეხება საქმეს.
**კრიტ.** წიგნები ბლომად წაგიკითხავთ?
**მეორე.** იქნებ თქვენზე მეტიც.
**კრიტ.** დრამატურგებში ვინ უფრო მოგწონთ?
**მეორე.** ჩემი თავი.
**კრიტ.** ჰმ! პიესის შინაარსი!
**მეორე.** ჩემი თავ-გადასავალი.
**კრიტ.** ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს საზოგადო მოვლენებს და არა კერძო კაცის თავ-გადასავალს.
**მეორე.** შემცდარი ბრძანდებით! კერძო კაციცაა და კერძო კაციც. მე ისა ვარ, ვინც 10 კაცი მოჰკლა, 15 დასჭრა, 12 დაასახიჩრა. რაც ამ ბოლო ხანებში თვალსაჩინო რამ მოხდა ჩვენში, სულ ჩემი საქმეა. ჩემი იყო აგრეთვე ყველა ის ხელ-მოუწერელი სტატიები სხვადასხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე, რომლებითაც აჭრელებული იყო ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა. მოძრაობის დროს საკუთარივ მე წავუკიდე ცეცხლი ერთ დიდ პროვინციას. პოლიცია გაფაციცებით დამეძებს და ეხლა რომ აქ მომაგნონ, იცოდეთ ჩემთან ერთად თქვენი ბედიც გადაწყდება. მიგაბრძანებენ ისე ნარდათ, ცოლ-შვილიანად, ვირის აბანოში და მერე კი მშვიდობით მზის შუქო.
**კრიტ.** (შეჭმუხნებს გაოცებული) რა სეირი იქნება, ერთი მდრინგოს.
**მეორე.** შეგეშინა განა დიპლომიანო! ხა! ხა! ხა!
**კრიტ.** ღმერთო, შენ გადამარჩინე ამ ხიფათიან ღამეს. (იმას) ინებეთ თქვენი პიესა.
**მეორე.** რატომ?
**კრიტ.** მიტომ, რომ თქვენი არა მწამსრა.
**მეორე.** რატომ?

**კრიტ.** უკაცრავად, ეს ჩემი საიდუმლოებაა.

**მეორე.** კარგი. მე წავალ, მაგრამ იცოდე, ასეთი ცმუდი მიღებისათვის თავის დრზე ანგარიშს მოგთხოვენ (გადის).

**კრიტ.** მოდი ეხლა შენ და ამისთანა გადარეულს ქვეყნის სვე-ბედი ჩააბარე. მაგას რომ ძალა ჰქონდეს, ყველას ჩამოგვახრჩობდა.

## გამოსვლა VII.

(შემოდის მესამე)

**მესამე.** გამარჯობათ!

**კრიტ.** გაგიმარჯოთ. გთხოვთ! (უჩვენ. სკამზე).

**მეს.** (ჯდება).

**კრიტ.** რას მიბრძანებთ?

**მეს.** პიესა მოგართვით.

**კრიტ.** მიბოძეთ!

**მეს.** (გადასცემს).

**კრიტ.** დრამაა თუ კომედია?

**მეს.** რა მოგახსენოთ. მაგაზე არ მიფიქრია.

**კრიტ.** ბარაქალა!

**მეს.** გამოგიტყდებით, რომ ჯერაც ვერ შემიგნია, რაა დრამა და რაა კომედია.

**კრიტ.** სად გისწავლია?

**მეს.** დაბალ სასწავლებელში.

**კრიტ.** რუსული იცით?

**მეს.** ისე... საწყალპუროთ.

**კრიტ.** მაშ რუსული წიგნები არ წაგიკითხავთ?

**მეს.** არა.

**კრიტ.** ქართული?

**მეს.** წამიკითხავს, მაგრამ არც იმდენი. მე სხვისი ნაწერების კითხვა რაღაც არ მეპიტნავება. საკუთარი ხელთნაწერებითაც იოლად მივდივარ.

**კრიტ.** რა აზრია პიესაში გატარებული?

**მეს.** მე რა ვიცი. ამის გამოცნობა თქვენი საქმეა.

**კრიტ.** მოგწონთ?

**მეს.** დიაღ. უზომოთ მომწონს. მიშველეთ გეთაყვა, დამეხმარეთ სასარგებლოთ თქვენდა და სასახელოთ ჩემდა. თუ რასმე ავიღებ, ნახევარი თქვენი იყოს. პრემიას ჯანი გავარდნია, ოღონდ სახელი მოვიხვეჭო. მოგეხსენებათ, რა დიდი რამაა პატარა კაცისთვინ სახელი. ერთი ქალი მომწონს. ის თუმცა თითქოს იპრანჭება, მაგრამ მაინც თანახმაა გამომყვეს, მაგრამ ბურჯუა მამა მისი შეჯდა ჯორზე და ვერას გზით ვერ დავიყოლიე, „პატარა კაცი ხარო“, ეხლა მინდა დაუმტკიცო, რომ მეც ბიჭი ვარ და ქუდიცა მხურავს. როცა წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ჩინებული რამაა. სხვა საქმეშიც რომ ასეთი უნარი გამომეჩინა, ჩემს ძაღლს ბედი არ დაჰყეფდა. სწორედ რომ საჩემო ხელობაა. მო სვენებითაც ხარ კაცი და ფულებსაც მეტს იშოვნი. ჩემ დედმამას ჩემს მეტი არავინ გააჩნია და თუ შენი მეოხებით მე ბედი გამიღიმებს, პირობას გაძლევ, ოჯახის ნახევარი შენ დაგიმტკიცო. ნათელი დღე ჯერ არ მინახავს და ერთხელ მაინც მოახედე ჩემკენ ბედის ვარსკვლავი. ამ დღეებში განჯიდგან ერთი გოდორი ყურძენი მომივა და გოდრიანად მოგართმევ. ახ, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ინებეთ ჩემი სურათი.

**კრიტ.** წაიღეთ უკან თქვენი სურათიცა და თქვენი პიესაც. თქვენი არც გატანილი მინდა, არც შემოტანილი. (უჩვენებს კარებზე).

**მეს.** (გაიპარება).

## გამოსვლა VIII.

(შემოიჭრება მეოთხე გიჟივით)

**მეოთ.** არიქა, ყარანდაში ჩქარა (სტაცებს ხელს და აიღებს კრიტიკოსის მაგიდიდან ყარანდაშს).

**კრიტ.** რა ამბავია, რა ამბავია?

**მეოთ.** ზეშთაგონებამ შემიპყრო. (იღებს უბის წიგნს, მიუჯდება მაგიდას და სწერს რაღაცას ფეთიანივით, უეცრივ შედგება, შუბლზე მიიდებს ცალ ხელს და უეცრივ სახე გაბრწყინვებული) ევრიკა, ევრიკა! (სწერს საჩქაროდ. წუთის შემდეგ წამოდგება და კრიტიკოსს) მამულიშვილო! რიძიმე ხომ არ გავიწროებთ?

**კრიტ.** არა, არა.

**მეოთ.** მერსი მონ ამი! მაშ მე დაკმაყოფილებული ვარ. (ჯდება და სწერს, უეცრივ განზე) ოჰ, ნიმფა! ოჰ იულია! (ადგება, წამოწვება ტახტზე. უეცრივ წამოიჭრება, გაიჯგიმება, ერთს ნაპოლეონისებურად გაჰხედავს გაოცებულ კრიტიკოსს. წუთს შემდეგ დადის და მარჯვენა ხელით რაღაცას იჭერს ჰაერში, თითქოს ბუზებიაო და იმ წუთშივე უბის წიგნში გადააქვს. კედელზეა მიყუდებული. უეცრივ მოჰხედავს კრიტიკოსს) მამულიშვილო! „პუშკა“ როგორაა ქართულად?

**კრიტ.** ზარბაზანი.

**მეოთ.** ჯან ქართველებო! ოღონდაც რომ ზზზარბაზანი და არა რაღაც პუშკა. რა არის პუშკა? ფუ! მოისპო თქვენი ჩექმები. ნეტავი ჩვენი ესდეკები არც ეხლა მიხვდებიან, რომ ჩვენი კულტურა სჯობნის?

**კრიტ.** (პაპიროსს გააბოლებს. სათუთუნეს მაგიდაზე დებს).

**მეოთ.** (მივა უბოდიშოთ, აიღებს და ლამპაზე მოუკიდებს. ჯდება მის პირდაპირ) განქრა მოჩვენება!

**კრიტ.** დროც იყო, თორემ უნდა გითხრათ, ძალიან შევშინდი.

**მეოთ.** ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! რას უზამთ ბატონო პოეტებს. მოგეხსენებათ ახირებული ხალხია დაა! ხა, ხა, ხა, ხა! რაო?

**კრიტ.** არაფერი, არაფერი. სხვა? რით შემიძლიან გემსახუროთ?

**მეოთ.** თქვენ ალბათ მიხვდებით.

**კრიტ.** პიესა მოიტანეთ?

**მეოთ.** დიაღ.

**კრიტ.** დრამაა თუ კომედია?

**მეოთ.** ტრაგედია... დიაღ, ტრაგედია, რომელშიაც ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება და სულია ჩაქსოვილი. ენა სამაგალითო, იდეა გასაშტერებელი და სხვა და სხვა.

**კრიტ.** ვნახოთ, ვნახოთ.

**მეოთ.** და რომ თქვენ სხვანაირად არ გეგონოთ, ნებას მივსცემ ჩემ თავს წაგიკითხოთ სანიმუშოთ ერთი მონოლოგი ჩემი ტრაგედიიდგან.

**კრიტ.** (განზე) აი, ეხლა იწყება ნამდვილი ტრაგედია!

**მეოთხე.** (ამოიღებს პიჯაკის ჯიბიდან ერთ მოზრდილ უბეს რვეულს) უწინარეს ყოვლისა მოვალედა ვრაცხ თავს, ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ ტრაგედიის შინაარსი: ერთ დაბაში, სადღაც ზღვის პირად, სცხოვრობდა ერთი ლოთი კაცი, რომელიც შემდეგ გამაწანწალდა. იმ ლოთს ჰყავდა ლამაზი ცოლი, რომელიც უზომოთ უყვარდა. კარგა ხანს დღიური მუშაობითაც იოლად მიდიოდნენ. ბოლოს ესეც მოესპო. ბევრი ითმინა, მაგრამ შიმშილმა მაინც თავისი ქნა და ერთ საღამოს მამა ბლაღოჩინს მსუქანი ინდაური მოჰპარა. მოასწრეს ქურდობაზე. ბლაღოჩინი ავარდა-დავარდა: „როგორ თუ ჩემს სიმწრით გამოზრდილ ინდაურს იპარავდი შე ასეთო, შე ისეთოვო“. იმან დაუჩოქა და პატიება სთხოვა—ხუცესმა ის არ შეიბრალა. იმ დროს იმ ქუჩაზე მსაჯულმა გაიარა. გაიგო საქმის ვითარება და ხუთი თვით ვირის აბანოში უკრა თავი. ცოლი კი მოხელე ივან ივანიჩმა აიყვანა საყვარლად. როცა ქმარი ციხიდგან გამოვიდა, ცოლი მუცელ წამოსუქებული დაუხვდა. მაშინ კი ველარ მოითმინა უბედურმა და მიაძახა ივან ივანიჩს: „სიკვდილი მოლალატესო“. ამაზე ივან ივანიჩმა უპასუხა აღელვებით და მტკიცეთ: „და ეს იცოდე შენც გიორგი, რომ ჩემს ცხოვრებას, ცის ფრინველივით თავისუფალს არ შევხუთავდი, თუ შენი ცოლის სიყვარული გვერდ ქვეშ არ ჩამჭროდა. იჯავრე რამდენიც გენებოს“ (იმას) როგორ მოგწონთ, ა? „იჯავრე, რა მენაღვლებაო“. (განაგრძობს კითხვას) მე მგონია, რომ შენ ჩივილს ამ ქვეყნისადმი ჩემი ღვაწლი ხმას შეუმოკლებს და თუ აქ კაცს თავის ქება ჰმატებს ღირსებას, მაშინ მე საქვეყნოდ განვაცხადებ, რომ მართალია გულ-მკერდს არ მიმშვენებს მსაჯულის მანტია, მაგრამ ვითარცა მდივანი მისი, სწორ-უპოვარი ვარ“ (კრიტიკოსს) ნახე რა ბიჭი ყოფილა ჩემი ივან ივანიჩი?

**კრიტ.** ივან ივანიჩის სიტყვები ძლიერ წააგავს ერთ ადგილს შექსპირის ოტელოდან.

**მეოთ.** ჰო, შეიძლება! ალბათ მეოცე საუკუნეში მეც იგივე აზრები მომდის თავში, რაც იმას 200 წლის წინათ.

**კრიტ.** (იცინის).

**მეოთ.** (ერთი წუთით უყურებს თვალებში, შემდეგ სტაცებს თავის პიესას ხელსა და წარბ-შეკრული კრიტიკოსს). იცით რა? მე თქვენ რაღაც არ მომწონხართ და ამიტომ ნურას უკაცრავათ, თუ ჩემი საუნჯე თქვენისთანა უპურმარილო კაცს არ ვანდო (გადის).

**კრიტ.** აი მადლიანი კაცი.

### გამოსვლა XI.

(შემოდის მეხუთე)

**მეხუთ.** სალამი!

**კრიტ.** (თავს უკრავს) გთხოვთ!

**მეხუთ.** (ჯდება).

**კრიტ.** რას მეტყვით?

**მეხუთ.** მე ისე... პიესები დავსწერე და...

**კრიტ.** კეთილი!.. პიესებიო თქვენა ბრძანეთ?

**მეხუთ.** დიაღ. ეგრე გამოდის.

**კრიტ.** რამდენია?

**მეხუთ.** ცოტა. რაღაც ხუთიოდე.

**კრიტ.** (განზე) ოჰო!

**მეხუთ.** სახლშიცა მაქვს ექვსი ცალი, მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია.

**კრიტ.** (განზე) ხაჭაპურებია? (იმას). იმედია, იმათაც მალე დაამთავრებთ.

**მეხუთ.** დიაღ.

**კრიტ.** (განზე) მე თუ მკითხავთ, მეფურნეც ესა ყოფილა (იმას) თქვენ ძალიან ბარაქიანი ყოფილხართ. ამიხსენით, როგორ ასწრობთ დრამატურგები ამდენ მუშაობას?

**მეხუთ.** ხა, ხა, ხა! რას ნიშნავს გამოუცდელი კაცი! განა ცხოვრება ცოტა მასალას იძლევა?

**კრიტ** კი მაგრამ, მაგ მასალას ლამაზად დამუშავება უნდა, ეს კი ავტორისგან თხოულობს დროსა და ნიჭს.

**მეხუთ.** არაფერი დამუშავება არ უნდა. ადამიანი სინამდვილეზე ლამაზს ვერას შეჰქმნის. მე ვიღებ ნამდვილ ცხოვრებას თავისი ავ-კარგით. მე ჩვეულებათა მაქვს, კვირაში თითო პიესა ვსწერო ხოლმე.

**კრიტ.** ოჰო!

**მეხუთ.** დიაღ, მე მაგაში ცალი არა მყავს.

**კრიტ.** ჰმ! (უეცრივ ცივად) რა საქმეში ხართ?

**მეხუთ** ეხლა არაფერში. წინად კი რკინის გზაზე ვმსახურებდი. ჯამაგირიც გვარიანი მეძლეოდა და გამორჩენაც მქონდა, მაგრამ რაკი წერას მივყე ხელი, სამსახურს თავი გავანებე და ჯერ-ჯერობით დედისა და დის შრომითაც იოლად მივდივარ.

**კრიტ.** ოო, ეგ კი ცუდი საქმეა.

**მეხუთ.** არა უშავსრა. დროებით მოვითმენ, მერე კი ჩემი პიესებიც გვეყოფა სარჩოთ.

**კრიტ.** სჩანს, თქვენში არის ღვთიური ნაპერწკალი, რომ შემოსავლიანი სამსახურიც კი უარ გიყვიათ.

**მეხუთ.** მეც ასე ვფიქრობ. არაფერზე გული არ მიმიწევს. სამსახურს, სხვის მორჩილებას სული ვერ იტანს, ეს ხელობა კი ზედ გამოჭრილია ჩემზე. დიდ შრომასაც არ ითხოვს და მასთან მოსვენებითაც ხარ კაცი, მაგრამ მეც რასა ვბოდავ. რის მოსვენება... საქმე გამიჭირეს სწორედ. ვინ არ გინდა, რომ პიესას არა თხოულობდეს. გუშინ ჭიათურელი შიკრიკი დამეცა თავზე და კინაღამ დამტყუა.

**კრიტ.** რატომ არ გაატანეთ?

**მეხუთ.** მუქთად უნდოდა ჩაეგდო ხელში, მაგრამ ДУДКИ! თავს არავის გავათელვინებ. პრემიას ჯანი გავარდნია, მაგრამ კანონიერი ჰონორარი რათ უნდა წამართვან? გთხოვთ ეს ჩემი გარდაწყვეტილება დრამატიულ საზოგადოებასაც აცნობოთ. კანონის ძალით თითო აქტში თითო თუმანი მერგება. ხუთს ხუთ-ხუთ აქტიანში 250 მ. ერთიც ვნახოთ, ხუთ-ხუთჯერ გაიმეორეს თითო მათგანი—რა გამოვა? 1500 მ. და ეს კი კაი სუმაა.

**კრიტ.** მე კი გირჩევთ, ისევ სამსახურს დაუ-

ბრუნდეთ, თორემ თუ ამ ანგარიშის მიხედვით ცხოვრების იმედი გაქვთ, წააგებთ. განა არ იცით, რომ ქართულმა კალამმა აკაკისაც ვერ გაუძლო კუჭი?

**მეხუთ.** მაშ თქვენი აზრით მე კუჭის თაყვანის მცემელი ვყოფილვარ? მაშ მე კუჭს ვაღმერთებ? არა?!

**კრიტ.** რა ბრძანებაა, ბ-ნო ჩემო, მაგრამ სიტყვამ მოიტანა. მოგახსენეთ მხოლოდ ისა, რომ ქართულმა მწერლობამ ვერც აკაკი ჰყო უზრუნველი მეთქი.

**მეხუთ.** მერე რა? ჩასციებიხართ მაგ აკაკის, თითქო ქვეყანა აკაკიზე ტრიალებდეს! რაღაც ორიოდ ლექსი დასწერა და იქაც მარტო სამშობლო, სამშობლო და სამშობლო!

**კრიტ.** რა ვუყოთ! უყვარს სამშობლო და ამას დანაშაულად ხომ ვერ ჩავუთვლით?

**მეხუთ.** ამდენი სიყვარულიც აღარ იქნება ბ-ნო ჩემო! მარა ამასაც რომ თავი დავანებოთ, თქვენ რა იცით, იქნება მეც აკაკი ვარ!

**კრიტ.** (ახედ-ჩახედავს) ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ეს კი შეუძლებელი მგონია. თქვე მამაცხონებულო, ი. ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს: აცხობთ ამ დრამებს მამიჯვარის ლავაშივით და იმას კი არ კითხულობთ, თუ რა ყრია შიგ.

**მეხუთ.** უკაცრავათ ბრძანდებით! თქვენ როგორც ჩანს, სხვა ავტორიტეტი არავინ მიგაჩნიათ აკაკი და ჭავჭავაძის გარდა! მე თქვენისთანა რეაქციონერთან საქმე არა მაქ.

**კრიტ.** დიდათ დამავალებთ, თუ თქვენი მართლა ლავაშების ცოხნისაგან გამანთავისუფლებთ.

**მეხუთ.** როცა თქვენი აზრი შევიტყვე, ღირსად არა გთვლით ბ-ნო კიტრიკოსო, ჩემი ნაწარმოებნი ცოხნოთ თქვენი კბილებით. მშვიდობით, მშვიდობით.

**კრიტ.** მშვიდობით იმგზავრეთ!

**მეხუთ.** კარგ სამსახურსაც გაუწევთ კაცობრიობას, თუ ყველა ჩემისთანას ასე მოექცეით (**გადის**).

**კრიტ.** მადლობა ღმერთს!

**ტრიფონ რამიშვილი**

(დასასრული იქნება)



## შარადა.

ღორებს კვებავენ იმითი,
რითაც შარადა იწყება,
მაგრამ პირველი ანბანის
წაშლა ნუ დაგავიწყდება.
შემდეგ სთქვი ქორონიკონი
სამ ათასს ნიშნავს რომელი,
ზედ დაატანე ყვავილი
მტრედის ფრად გამომკრთომელი.
კვლავად დასძინე „კავშირი"
ღრამატიკაში მჯდომელი,
(სათუოდ საქმის დამდები
აზრთა საეჭვოდ მხდომელი).
დაურთე „ნაცვალ სახელი"
ახლორე გიდგას რომელი
(ერიდე, ასო ხმოვანი
არ დაგრჩეს მოუძრობელი!)
აქ სომხის ძველი ქალაქი
არს მჭიდროთ მისადგომელი,
(დღეს ნანგრევებათ ქცეული
ვით დანარჩევი გომელი)
შემდეგ კი სიტყვა ქართული
ადვილათ მისახდომელი,
საერთო სახელწოდება
რასა წარმოშობს მშობელი.
სულყველა თქმული სახელი,
თუ სიტყვა განახმარები
უნდა ერთ რაზმათ გამწკრივდენ
ვითარცა რუსის ჯარები.
გამოვა სახელ-წოდება
სასმენათ სამწუხარები,
წითური ვინმე არსება
(თავში უქრიან ქარები),
ვინც ორშაბათ დღეს გაალო
რუსულ ქართული კარები...
რუსულში როცა იხილავთ,
მლიქვნელი შეუდარები.
ქართულში ნახავთ, საბრალოს
თვალთა ზსდის ცრემლთა ღვარები.
ძლიერ ადვილი დამირჩა
შარადა ანაჩქარები,
უეცრივ მიხვდენ ყველანი
თუ არ ტვინ ანაცარები.

**კოლო.**

## დეპეშები.

(საქართველოს სააგენტო)

**ქუთაისი.** გამოფენამ ძლიერ გამოაცოცხლა ქალაქი. ბინების ფასმა აიწია. სანოვაგე გაძვირდა. მეტადრე ბოსტნეული, ვინაიდან ვისაც დამპალი ხახვი ან ბოლოკი ჰქონდა, ყველა იქ გამოაფინეს.

**ვაზიანი.** (კახეთის რკინის-გზა) სახალხო მატარებელი № 0 დაეჯახა საქონლისას. დაშავდა მხოლოდ ერთი სტრაჟნიკი და შემთხვევით გამვლელი მგზავრი.

**ბათუმი**. რადგანაც ადგილობრივ თვით-მართველობას საფუთო გადასახადზე უარ-ეყო, განზრახულია. აღძრან შუამდგომლობა საგირვანქო გადასახადის დაკანონების შესახებ.

**ოზურგეთი**. თუ ბებურიშვილი გადააყენეს, ქალაქის თავათ უთუოდ აგია კუკაძეს ვირჩევენ.

**სიღნაღი**. ჩვენცა ვართ ქვეყანაზე. ვაიდა!

---




ზოგიერთ სამკურნალოში.

## საოცარი სახლის ბედი.

(ფსიხოლოგიური ზღაპარი. ლექსი პროზათ).

როგორც ზღაპრული მშვენიერი, მდიდრული კოშკი დევ-გმირთ, მისანთა, მზის უნახავთ ბინა სამყოფი, ისე ეს სახლიც, საოცარი, იყო ამ ქვეყნად. თარიღი მისი გაჩენის დღის არავის ახსოვს. არავინ იცის, აღაშენა ის ვისმა ხელმა? ვინ მორთო იგი? ვინ მოკაზმა? ვინ გააჩაღა? არც ის იციან, ვინ იყო შიგ? ვინ ბინადრობდა?.. ამ სახლის ირგვლივ მშვენიერი წალკოტი იყო, ნაირ-ნაირი ხეხილებით მორგულ-ალსავსე, თვალის წარმტაცი ყვავილები რუთ კიდეებზე, მწყობრად, ლამაზათ არიგებულ ჩარიგებული, გრძელი და სწორე ხეივნები, მათ ჩრდილ ქვეშ-გზები, აქა იქ სჩანდენ შადრევნები ანკარა წყლისა, ეგ დასაბამნი მოდუდუნე რუ-ნაკადულთა. ზოგან მორევნიც იყვნენ და შიგ-ამაყნი გედნი ანუ სხვა და სხვა ტანთამრხევნი წყლისა ფრთოსანნი; მათი და-ძმანი ხეივნებსა, ხეხილ ჩირგვებზე საამო სტვენას და ჟრიამულს არღარა სწყვეტდენ. ჟღურტულ-რაკრაკი, „ტია-ტია,“ ჟივილ კისკისი შექსულ-შეწყობილ აკკორდებათ სმენას ატკბობდენ... წალკოტის შუაგულს საოცარი ის სახლი იდგა. მზის უნახავი არვინ იყო მუნ ბინადარი, მაგრამ თვით სახლი მზის უნახავს ედარებოდა. შემოზურმუხტულ-დაბურული ხეთა ფოთლებით, ცის ლაჟვარდს იგი ველარ სჭვრეტდა, თვალს ვერ ატანდა, მაგრამ წალკოტი თვისი წარმტაც სანახაობით ხელის გულივით მის წინაშე იყო გაშლილი. სტკბებოდა იგი ნეტარებდა მასზე მზერითა!..

ერთ დღეს... ოჰ, ეს დღე, საშიშარი, წყეულიმც იყვეს! „საბედისწერო ნაჯახი“ ამ წალკოტს ეწვია. ქურდულათ, დინჯათ, მაგრამ ურცხვის გაბედულობით, მიუახლოვდა იგი ერთს ხეს და დაეძგერა. დაეცა ერთი... ორი... სამი... ოთხი... ურიცხვი. ხეხეზე დაწვა: ცა, ფირუზი მაღლით გამოჩნდა; ცეცხლისა ბურთი გამოცურდა იმის ტატნობზე და იმ მშვენიერს წალკოტს იგი თავს წამოადგა; „უნდა დავწვაო,“ დაიჩემა, ისროლა ცეცხლი... მოედო ბალსა და კოცონმა იწყო ტკრციალი. „საბედისწერო ნაჯახიცა“ შრომას აგრძობდა... ირგვლივ ყოველი გადირუჯა, გადაიხრუკა, რუები დაშრენ, შადრევნები არღარა სჩქეფენ, წყლისა ფრთოსანნი გულხაკლავად დაბაჯბაჯებდენ ირგვლივ უდაბნოს ქვიშასა და ფხვიერს სილაზე, აქა იქ მდგომარ ჩამომწვარს და ჩამონახშირულს ხეთ ღეროებზე საწყლად ისხდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავნი ფრინველნი და მოისმოდა გულსაკლავი მათი ყრანტალი... წალკოტის ნაცვლად აწ-ღა მოსჩანს უდაბნო, ცხელი! შუა ადგილას... ეჰ, თვალებო, ამაოდ რბიხართ! საოცარ სახლსა მუნ ვეღარა, ვეღარ იხილავთ. ნაცვლად რა მოსჩანს?—დამქვარტლული რაღაც ხოხოლა! ბოლი ამოდის, იბუგება კვამლიან ცეცხლში, მოისმის ხშირი, გულ-საკლავი ტკაცან-შიშხინი... ნელ-ნელა იწვის, იფერფლება მშვენიერება!.. „საბედისწერო ნაჯახი“ კი, ეს საძაგელი, აღარ ისვენებს, სახურავსა, კედლებს აწყდება, კვალად ძალს იკრეფს მომეტებით ურტყამს და... ჰკეპავს...

**ნ. ზომლეთელი.**



1876

მესტვირული.

ეშმაკო, შენი ბადალი
ჯერ ღმერთს არ გაუჩენია...
შენის მათრახის წყალობით
მოსპე მრავალი სენია,
მრავალს მიუძღვევ მკურნავი
„კუდინის“ მწარე წვენია,
მაგრამ ეს ბანკი საქანქრე
მიკვირს რად გამოგრჩენია.
მათხოვე შენი მათრახი
ეშმაკო, შენი ჭირი მე!
იქა მყავს გასაკოცნავი
ოთხი-ხუთიოდ გმირი მე,
საქმე ბევრი გაქვს, ამისთვის
გამხადე შენი გზირი მე,
არ შეგირცხვინო მათრახი,
არცა გიგინო სტვირი მე.
ერთი შევიდე მოვნახო,
ბანკის ბატონის შვილია,
მხალაძის სადილ ვახშამი
ვკითხო როგორი ტკბილია,
„ფოდრაჩიკების“ მიძღვნილსა
როგორღა გაჰკრა კბილია,
თანაც მათრახით აუწო
სადაც ნაწილი რბილია.
რა მასთან მოვრჩე საქმესა
იქვე მივბრუნდე ხელათა:
გამხდარ გამხდარი მოხელე
შემხვდება უეჭველათა.
მასზე ამბობენ: ქანქარსა
გარდაჰქცევია მგელათა,
არ აწყენს, მასაც გაეკრას
სირბილის ასაწველათა.
ერთიც ბძანდება, მაღალი.
„ნიშადუროსანთ“ დასელი
აწყურის ხეობელია,
ნუ გინდა მისი სახელი,
ქანქარსა ბოჭავს ფარულად,
სადაც არ არის მნახველი
მანეთში ითხოვს სამ შაურს...
აქ რაა დასაძრახველი?!!
ესე ამგვარად მუშებსა
ზურგზე ააძვრეს ტყავია,
ვერცა ძლებიან, ვითარცა
უძლომი ყორან სვავია
გამგეობაც სდუმს. არ უნდა
მან აიტკინოს თავია,
აბა განსაჯე ეშმაკო
ვითარი სანახავია?!
მაშ ნუღარ ყოყმობ, მათხოვე
შენი მათრახი მწვავია.

**ა. განჯის-კარელი.**



## დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთი)

**ადესა**. ადესის მოქალაქე მაგომედ ალიმ თხოვნა აღძრა მთავრობის წინაშე: „ნება მომეცით ნაცვლად პერგამენტისა მესამე დუმის დეპუტატობაზე კენჭი ვიყაროთ“.

**პეტერბურგი.** ათონის მონასტრიდან გამოიწერეს ოთხი „გედი“, რომლებიც ააფრინეს სამხედრო საქმის მცოდნე პირთა თანადასწრებით. გედები ნელა და ლაღათ აფრინდენ ჰაერში, მაგრამ ჩამოფრენილი არავის უნახავს.

**გელსინგფორსი**. სეიმის დეპუტატმა პიკოლემ შესანიშნავი ფეხსაცმლის მაღაზია გახსნა. ჩექმები და წინდები ჯერაც აუარებელი მოსდის. ამბობენ ქართველ ფილოსოფოსს გ. ქ.-საც გაუგზავნია ერთი წყვილი თავისი ნახელავი ჩექმები, რომლებსაც „არსენიძის ჩექმები“ აწერია.

**ხარბინი.** ამურის რკინის გზაზე სამი ათასი ვაგონი დაიკარგა მგზავრებითა და საქონლით დატვირთული. გამოძიება სწარმოებს!

**მოსკოვი.** საინტენდანტო უწყების რევიზიის დროს აღმოჩნდა დაკარგული ერთი კარობკა ვაქსი და ორი წყვილი ჩექმების საწმენდი ჩოთქი. სასტიკი გამოძიებაა!!

**იალტა.** მაძებარმა პოლიციამ ერთი ადგილობრივი თათარი ცნობილ დუბროვინს მიამსგავსა და დააპატიმრა. მიღებული ზომების შემდეგ თათარი გამოტყდა რომ ის მართლა დუბროვინია და გაანთავისუფლეს.



## ფრთებ დაჭრილი შევარდენი.

—

წირვის დრო იყო, მზეს სხივები გადმოეყარა
და ელვარებდა არე-მარე მწვანით მოსილი...
მე კლდეზე ვიდექ, ყურს ვუგდებდი შევარდნის
მოთქმას,
რომელიც იქვე კლდის ძირს იჯდა ფრთებ შეკვეცილი.
„მე ფრინველი ვარ, მიყვარს ნავარდი,
ჰოი, მტარვალო! რათ დამჭერ ფრთები?
შეგშურდა განა ზღვას, მთას და ბარსა
რომ დავსტრიალებ, თავს რომ ვევლები?!
ვისაც შურს სხვისი თავისუფლება,
ის თვით მონაა დამცირებული
და მის გულს ველარ გააცისკროვნებს
თავისუფლება შუქ-გაბადრული.
შენც, ჩემო მტერო, ალბათ მონა ხარ
გულით ურწმუნო, სულით გახრწნილი
და თავზარსა გცემს, ქრუანტელსა გგვრის
თავისუფლების ლანდი, აჩრდილი?
თვარა რათ დამჭერ ლამაზი ფრთები?!
რისთვის მომისპე თავისუფლება?!
მე ფრინველი ვარ, მიყვარს ნავარდი,
მიყვარს მთა ბარის თავზე მოვლება!“
ასე მოსთქვამდა, ასე კვნესდა თვალ-ცრემლიანი,
შორს გაისმოდა მწარე ჰანგი გულის დამწველი
და ჩემი გულიც ბანს აძლევდა, უერთდებოდა,
ნაცნობი იყო ჩემთვის მისი სიტყვა ყოველი.

ვ. რუხაძე.



## გურული სცენა.

წერილი ჩოჩხათელ თეოფილესი მშობლებისადმი.

ძვირფასო ნენავ და ბაბავ! პირველად ყოვლის შემძლებელ ღმერთს ვსთხოვ თქვენს ბედნიერათ ცხოვრებას და კარგათ ყოფნას, აბა თქვენ იცი და თქვენმა სინდისმა, თუ ჩემს ჩამოსვლამდი რაფერ მოუვლით ჩემს ძვირფას მატას. მე კი ისე პროსტო თეოფილეთ აღარ ჩამოვალ! კიდევ რამდენიმე დღე და თქვენი თეოფილე ანაფორაში გამოწყობილი და ვერცხლის ჯვრით გულზე გესტუმრება სახში. ჩემს შრომას ტყვილად არ ჩაუვლია. ჩემმა უჩიტელმა ეგზამენი მიქნა და ისე ვწირე ისე, რომ მგონი ჩოჩხათლებს ასეთი წირვა ჯერ სიზმრათაც არ უნახავს. ,,ნეტავი იმ სოფელს, ვისაც შენ მღვდლათ მოევლინებიო‘‘ მითხრა ჩემმა მასწავლებელმა. და განა მე არ ვიცოდი, რომ სამღვდლოდ და საბლაღოჩინოდ ვიყავი დაბადებული?! ვიცოდი მარა დასწყევლოს ღმერთმა ის რაღაცა ,,ახალთაობა‘‘ იყო: ხუცესი არ გვინდა, დრამას არ გადვიხდით, საკურთხს არ გავაკეთებთ, მკვტარს წირვა არ უნდა, პანაშვიდიო და მეც ქე შემიხინჩდა გული. ვიფიქრე: ვეკურთხო ტყვილათ გამოვეხვიო ანაფორაში, კაცმა კაცად არ მიმიღოს, დრამა არ მომცენ, საკურთხი არ მომიტანონ, არ მაწირვიონ და არ მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვიონ, ხომ ტყვილად გამივლის ამდენი შრომა და ხარჯი მეთქი და ქე ვიყავი გაჩერებული. თურმე ეკურთხე კაცო, ყველა ეს ამბები დროებითი ყოფილა, ყაზირალების მოგონილი ახლა ისევ მობრუნდა ძველებური დრო: საკურთხიც კი გამოაქვენ, წირვასაც აკითხებენ და პანაშვიდსაც. აღდგომას ისეთი პასკები გამოიტანეს ეკლესიაზე, რომ ნერწყვი მომადგა პირზე. დრამაც ხომ მობრუნდა! რაღაი, არ მეყურებია იმ ყაზილარებიზა და დროზე ვკურთხეულიყავი, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა, მარა აწიც აფერი უშავს. ჯერ 30 წლის არ ვიქნები, ხუცები ას წლამდის ცხოვრობენ. ამ ხნის განმავლობაში ოცდა-ათ ათას მანეთს დრამას ევიღებ, ოცდა-ათ ათას მკვტარს გავასვენებ და აქიდანაც შემოსავალი მექნება, ორი ათას ფუთს პასკას ჩამოვრჩები და ათას ფუთ ,,წადილს'' და მეტი რა მინდა, ეს მეც ბატონსავით მაცხოვრებს, ჩემს მატასაც და თქვენც გაგიტკბილდებათ სიბერის დღენი.

პატარა იმის ფიქრი კი მაქ, რომ კიდო თავი არ წამოყოს იმ დაღუპულმა ,,ახალთაობამ'' მეთქინ, მარა თუ მაინდამაინც საშველი არ მიეცა, ქე გევიშლეჯ ამ ჩემ ანაფორას და კაცის ტანისამოსს ჩავიცვამ.

თქვენი თეოფილე *).

**კასიო.**

*) ეს წერილი შემთხვევით ხელში ჩამივარდა მე.

## ბედნიერი ქალაქი.

(ვუძღვნი თელაველებს)

მინდა, ეშმაკო გაგეცნო,
მე გახლავარ თელაველი;
ჩვენისთანა ბედნიერის
არც მგონიხართ თქვენ მნახველი.

ბაზრის პირში ბულვარი გვაქვს,
იმდენია მასში მტვერი,
რომ თუ შედი, რაღათ გინდა
ლახოსტაკ-უმარულ-ფერი.

ქალაქს ცოტა მოშორებით
გადაშლილა ნადიკვარი;
მუნ სილაღით დანავარდობს
ყურდიდაანთ მთელი ჯარი.

ქალაქს პატრონიც კარგი ჰყავს:
დღე-ღამ მის ზრუნვაში არი,
რომ რაც შესძლოს გასამრჯელოთ
აიღონ მეტი ქანქარი.

საზოგადო მოღვაწენიც
მუქითაა მოსახვეტი;
ისეთ საქმეს ჩაიდენენ
თავთა დაესხმება რეტი.

გიმნაზიას აარსებდენ,
მოაგროვეს ცოტა ფული,
რომ პირველ ხანს სასწავლებელს
არ ამოხდენოდა სული.

სამი კაციც აირჩიეს
მზრუნველთანა გასაგზავნი;
ვასო, ვანო და მაქსიმე
ამ საქმეში თავ-მდგომარნი.

ვასილმა და ივანემა
საქმე ჩაიდინეს მდარი,
შეკრებილ ფულს, გასამრჯელოთ
მოაკლეს ასი ქანქარი.

გიმნაზია აღარსად ჩანს
ფულიც ნელ-ნელ სულსა ღაფავს,
და თუ დროზე არ უცხუნე
ვინმე კიდეც გადაყლაპავს.

**Вѣрочкинъ.**

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

(უცხოეთი)

**პეკინი.** (ჩინეთი) ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს ბ-ნი გ. გვაზავა ჩინელებისათვის ახალი „რგოლის" შემოსავლებათ. როგორც გამოირკვა „ჩინეთის კედლებს" აღარ შეუძლია დაიფაროს ხალხი გარეშეთა შემოსევისაგან.

**მადრიდი.** (ისპანია) ისპანიის კონსტიტუციონურმა მთავრობამ სამოცი „გალსტუკი" ითხოვა ერთ-ერთი „კონსტიტუციონური" სახელმწიფოდან. „გალსტუკები" როგორც ამბობენ დანიშნულია ბარცელონელ რევოლიუციონერებისათვის.

**ლონდონი.** (ინგლისი) 6 ათასი უმუშევარი აპირებს ციხეში ჩაჯდომას და შიმშილობის გამოცხადებას. იმათ ჰგონიათ ინგლისის მთავრობა ჩვენც ისე ძალდატანებით გვაჭმევს საჭმელს, როგორც ეს გაფიცულ სუფრაჟისტკებს უქნესო.

**თეირანი.** (სპარსეთი) ლიახოვის მიერ ,,ნაჩუქარი'' თანხით სპარსეთის მთავრობას სურს ორი გერმანელი აფიცრის მოწვევა, რომლებიც კაზაკთა ბრიგადას თოფის დაჭერას შეასწავლიან.

**სტოკჰოლმი.** (შვეცია) მრეწველთა სინდიკატმა მიიღო გაზეთ ,,ივერიის'' რედაქციაში მოგროვილი 17 კაპეიკი; თუ ასეთი უხვი შემოწირულება კიდევ დარჩა ერთი-ორი, იმედი აქვთ მუშების სიკერპეს სძლიონ და გაფიცვას ბოლო მოუღონ.

**ბრიუსელი.** (ბელგია) აქ ელიან ქალაქ თფილისიდან ექვსას წყვილ ძველ ჩექმებს ვატმანებისას და აგრეთვე სამას ოთხმოც და ექვს ჩამორთმეულ შინელს ტრამვაის მოსამსახურეებისას.

**სტამბოლი.** (ოსმალეთი) აბდულ გამიდმა კვალად ითხოვა ოსმალეთის მთავრობის წინაშე: ნება მომეცით, ადესაში გადავსახლდე ჩემს ერთმორწმუნე ძმასთან მაგომედ ალისთანო. უარი მიიღო, შენისთანები იქაც ბევრი არიანო.

### არა მჯერა!

—

არ მჯერა და არც ვირწმუნებ
ნარს მოესხას ნაზი ია.
არა მჯერა მოღალატემ
დაიშალოს ღალატია!
არ მჯერა, მგელმა მშიერმა
ჩვილი დაინდოს კრავია,
არ მჯერა შვილმა განცხრომის
ჩაგრულს შესწიროს თავია.
არ მჯერა ორგულ მიჯნურმა
იცოდეს სიყვარულია,
არ მჯერა ძუნწმა მდიდარმა
შეიტკბოს დაჩაგრულია.
არ მჯერა ბილწსა იუდას
სხვისთვის სტკიოდეს გულია,
არ მჯერა ჩარჩმა, ოქროზე
არა გაჰყიდოს სულია.
არ მჯერა ვარდის ეშხითა
ყვავსა დაეწყოს მღერანი,
არ მჯერა ჯალათისაგან
სიბრალვით გულის ძგერანი.
არც მისი მჯერა ვინც ამბობს:
,,ოქრო რად მინდა ვერანი'',
არ მჯერა გულით ცბიერსა
მართლის დაეწყოს წერანი.
არ მჯერა გველმა მაცდურმა
გადაივიწყოს გველობა,
არ მჯერა კაცმა მლიქვნელმა
დასტოვოს ენაჭრელობა.
ყოველსა არსსა ამ ქვეყნათ
არჩეული აქვს ხელობა
ყვავს ბულბულობა არ ძალუძს
და არცა კრავსა მგელობა.

მხატვარი.



## წერილები ეშმაკისადმი

**ქუთაისი**—ზოგიერთ სოფლის მასწავლებელთა წინადადებით სახალხო სკოლების დირექცია, თეთრ ხიდთან, რესტორან „იალტა“-ში გადაიტანეს. აქ თითქმის ყოველ დღე შეხვდებით მაჭრისგან აღფრთოვანებულ სოფლის მასწავლებელთ რომლები'ც ითრევენ თავიანთ ბადეში ახალგაზრდა მასწავლებლებს და იწყებენ „სდელკას.“ ახალგაზდა, გამოუცდელ მასწავლებლებს დირექტორობას პირდებიან და შემდეგ ყელს ტკბილი მაჭრით ისველებენ. ეს ,,ჯგუფი“ ძლიერ იზდება და ჩქარა ფილიალურ განყოფილებას დაარსებს სოფლებში. ჯგუფის ზოგიერთი წევრები „დურმიშხანულს“ ეწევიან. განყოფილება ჯერ ბელაგორში გაიხსნა.

ორ-სოფლელი.

—

**დ. ჩოხატაური**—გახშირდა „ბაქარა.“ ვინ გინდათ რომ არ თამაშობს, ვაჭარი, თავადი, ერი და ბერი. მაშ რა ქნან თუ სხვა საქმე არა აქვთ. ყველა ერმალო მიკიტანი ხომ არ არის. ერმალოსთანა გაბედული „დელიყანდი“ მთელ ჩოხატაურში აღარ ჰქჰანობს. არავის წინ ის არ დაიხევს, უმეტესათ თუ დედათა სქესი შეხვდა, მას ვერც დაკეტილი კარები ამაგრებენ და ვერც ვერაფერი. ტ. მ—სკუა.

—

**სად. მუხიანი**—საყულიის და მუხიანის „მოკრივეთა ჯგუფმა“ სიზმარი ნახა, თითქოს მთავრობა სამკითხველოს დახურვას აპირებდეს, რადგან სათავეში „არა კეთილ საიმედო“ პირნი უდგანანო. ეს სიზმარი აუწყეს ხალხს და აუხსნეს, რომ სამკითხველოს გადასარჩენათ საჭიროა მისი საყულიაში გადატანაო. გაფრთხილებისთვის მადლობა უთხრა ხალხმა, ხოლო სამკითხველოს გადატანაზე კი უარი. ამ გარემოებამ ფრიად დააღონა „ჯგუფი“ და სხვა საშუალებას შეუდგა სამკითხველოს თავიდან მოსაშორებლათ.

დესპოტი.

**სოხუმი.** 7 სექტემბრის კრებამ ქალაქის გამგეობაში გამოარკვია, რომ სანოვაგის ნიხრი არსებობს მხოლოდ გამგეობის წევრთავის. ხმოსნებს და მოქალაქეებს შეუძლიათ როგორც მოახერხებენ შეთანხმებას, ისე იყიდონ სანოვაგე.

15 სექტემბერს გამოირკვა, რომ საავათმყოფოს გამგე ექიმს შესანიშნავი მანქანა ჰქონია. ამ მანქანის შემწეობით ის ყველაფერს ტყობილობს პაციენტის შესახებ და მისთვის სრულიად საჭირო არაა ადგილობრივ მკვიდრთა ენის ცოდნა ავათმყოფობის გამოსაკითხ გამოსარკვევად. ქალაქის მამები განცვიფრებაში მოიყვანა ამ მანქანამ და დაადგინეს: ექიმისთვის არ არის საჭირო ადგილობრივი მკვიდრთა ენის ცოდნა."

დასიცხული.

—

**მიხაილოვი.** სახალხო უნივერსიტეტი სამიკიტნოებში გადაიტანეს. მართლაც გასაკვირია, ეს მარტივი აზრი ხაშურელებზე ადრე არავის მოუვიდა: ყველამ იცის რომ ხალხი ძლიერ ეტანება სამიკტნოებს და მაშასადამე უნივერსიტეტსაც გვერდს ველარ აუქცევს.

ძლიერ იმიტა შანტაჟისტურმა შეგნებამ დღე ერთია „წერილი" ათი.

უბედურება.

—

**მიქელ გაბრიელი.** აგერ ერთი ხანია. არტემ ხომერიკი ძლიერ დარცხვენილი დადის. თითონვე მიმხვდარა, რომ უმჯობესია ერთი უმსგავსო კაცი შეეწიროს რამოდენიმე საწყალს, ვიდრე რამოდენიმე საწყალი ერთ უმსგავსოს. ესეც კარგი ახლა თუ გაიგო, მაგრამ......

—

**ხვარბეთი.** ამ წინაზე სოფელს ეწვია შემოქმედის ეფენდი კაკაც ოლლი. აქვე გეახლათ ჯოჯოხეთიდან (იგულისხმეთ სოფ. კახური.) ცნობილი მწერალი არობელიძე. ალ. თოიძემ პაგონები მიიღო. ახალგაზრდა დიომ. კ-მალიევს და არონ რუსიეიშვილის საგმირო საქმენი უკვე გეცოდინებათ. ჩვენში აღარავის არა აქვს მათი გასწორების იმედი.

—

**ოზურგეთი.** სამოქალაქო სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან დაიწყეს ლექციების კითხვა. მოსწავლეთა ყურადღებას იპყრობს უმთავრესად ლექცია ბ-ნი გორგასლიძისა, სახელდობრ: „რა საჭიროა ყურები კაცისათვის." მას ჩინებულად გაურკვევია და დაუსაბუთებია, რომ ყურის ბიბილო სრულიად მეტია მოსწავლისათვის. რამდენიმესათვის კიდევაც მოუწყვეტია' მაგრამ ამით სმენის ვითარებას არაფერი ზიანი არ მოსვლია.

**იქიდანვე.** ვასილ ხუნდაძეს ლამის ბედმა გაუღიმოს. ამბობენ ბებურს იმას უშობიანო. ადგილობრივ სამკითხველოში მუდამ მხიარულება და სიცილხარხარია. ამისათვის უსაქმო ხალხი ძლიერ ეტანება მას. კარგს იზამდენ ნარდსაც და კარტსაც შემოიღებდენ.

**ქუთაისი.** გამოფენაზე სხვა საკვირველებათა შორის გამოფენილია ერთი ოთხ-ფეხი კაცი. ამბობენ ის ზუგდიდის მაზრის ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნისო. იქვეა ორფეხი ვირი ლეჩხუმის კეთილშობილთაგან წარმოდგენილი.

—

**ოზურგეთი.** მინდა „გულიანიის" ამბავი გაცნობო.

„ინდოეთის პეპელა"
ნავარდობდა ნელ-ნელა!..
მიკვირს „პუდრი" ამდენი
რა ხალხმა მოინელა.
სილამაზის „პრიზისთვის"
სახეს ილეს-იმკობენ,
სხვა და სხვა „სანოვაგეს"
უზოგველათ ისობენ.

წარმოიდგინეთ აქ „ოზურგეთის მხეცებსაც" აჩვენებდენ და გასაოცრად მრავალნი აღმოჩნდენ მნახველნიც და მხეცებიც.

სათარხანი.

* *
*

მსურს ფრთა შევასხა, ფრთა მედგარი
ჩემს ობოლს ნავსა.
თან გავატანო, გული ჩემი,
გავყვე ნიავსა;
რომ წუთით მაინც შევაჩერო
ოხვრა სულისა,
შევწყვიტო ტანჯვა ვნებათაგან
აშლილ წყლულისა.

—

მსურს ზე ავფრინდე, მივეფარო
დედა მიწასა,
მკვირცხლის სისწრაფით ვინავარდო
სულ მაღლა... მაღლა,
თეთრ ღრუბელივით, ავეწებო,
მივეყრდნო ცასა,
რომ აღარ ვიგრძნო ცხოვრებისგან
მოქანცვა, დაღლა.

—

დიახ, მსურს... მაგრამ! თავს ვერ ვაღწევ
ქვეყნიურ ფიქრთ ზღვას,
მწარ სინამდვილით გულს მიღვივის
ტანჯვის კოცონი;
ღელავს უფსკრული!..
მეც თან მივსდევ მის კუპრის ტალღას,
ეჰ, სულ ამაოთ გამიტაცა
ტკბილ ნატვრამ მგონი.

**გ. ქუჩიშვილი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

ძმაო ემმაკო! ამ თვეში ორჯერ ათხოვე შენი სტვირი ჩვენი ტურფა კოლხიდის უტურფესს (თუ უტიფარს?!) მგოსანს „ნახურისპირელს“ და „ფაჩუს“. შენ ალბათ კოლხიდის შვილთა შორის ახალი „პოეტის“ (ძველი ხომ გვაზავაა) აღმოჩენამ წაგახალისა და მისთვის იჩენ ასეთ გულუხვობას. მართალია „ნახურისპირელმა“ თავისი პირველი დებიუტი „გლახა აჯილდას“ არაკი შეასრულა, (ხომ გაგიგონია: გლახა აჯილდა დედას დაუბრუნდაო ..?) მარა მაინც გულდასმით წავიკითხე მისი მესტვირული, რადგან ის ნახურისპირად იყო ზემთაგონებული.

სკოლას, რომელსაც ის „ზუბრთა“ სკოლას უწოდებს და რომელშიაც სტატისტიკური ცნობებით 99% მასავის წივჩაქუჩული „ზუბრები“ სწავლობენ, ყოფილი „ზუბრი“ ამ სკოლის დღეს „მწერალ-პოეტი“ ნახურისპირელი უმართლოდ კიცხავს, მაგრამ რა გაეწყობა: „ცემა მართებს გამწვრთნელისა, თუ ყრმა ნახო ავად წრთვნილიო“ უთქვამს პოეტს და მეც სიჩუმეს ვამჯობინებ; მით უმეტეს, რომ ეს ყრმა, როგორც მისი პოეზიიდან სჩანს გონებრივად უსუსურია და მისგან პასუხის მოთხოვა წყლის ნაყვას ემსგავსება. ამ წერილის მიზანი უფრო შენი მათრახის გაფრთხილებაა ძმაო, ვინაიდან თუ ერთხელ ტყუილი გაასადა, შემდეგ სიმართლესაც აღარ დაუჯერებენ. ხოლო ბ-ნი ნახურისპირელი ან საქმეზე ე. ი. ტყუილებსა და ცილისწამებაზე ერთობ გულ უხვი და ნაყოფიერია. ასე თუ ისე, „ნახურისპირელის“ წერილის გამო მე მაინც თავს არ შეგაწუხებდით, რადგან ის წერილი ისეთ დაწესებულებათ ექირდავება, რომელთაც თავისი, გზა ათი და ოცი წლობით გაუკაფავთ და რომელთა მუშაკთ „ნახურისპირელის“ ჩმახვა კი არა, თვით აზვირთებულ ნახურიც ფაფარსაც ვერ შეუდრეკს, რადგან მათნი საქმენი ნათელ არიან.“ მე ვამბობ სკოლაზე, რომლის მუშაკთა „გვერდზე“ „წოლას“ მთავრობისა და ამ სკოლის იდეურად ხელმძღვანელ დაწესებულების ოფიციალური სარევიზიო ანგარიშები უფრო მიუდგომელ მსჯავრს დასდებენ, ჩემი ფიქრით, ვინემ „ნახურისპირელი.“ და იმ ამხანაგობაზე, რომელსაც „ნახურისპირელი“ რაღაც გაუგებრობით „ბანკს“ უწოდებს. დიახ ამ „ბანკის,“ ნამდვილად კი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „შუამავალი“-ს, მმართველი ამ ჟამად მე ვარ და მოვახსენებ ნახურისპირელს, რომ ეს ამხანაგობა მის მზგავსთა შორის ერთათ ერთია ჩვენ ქვეყანაში, რომელიც 1897 წლიდან დღემდე წარმატებით მოქმედებს, რასაც ამოწმებენ ყოველწლიური ანგარიშები ოფიციალურად შემოწმებულნი და დამტკიცებულნი. მწარმოებულთაგან ნისიად პარკის დატოვება ხომ სრულებით არ არის შემოღებული! ეს საიდან მოჭორა ნახურელმა? თუ, რითმა მოადგა ყელზე და ვედარ მოითმინა? არ იქნებ მწარმოებელს ეძახის იმ ვაჭარს, რომელმაც წელს მართლა ჩააბარა ამხანაგობას 217 მანეთის პარკი! თუ ამაზე ამბობს ბ. ნ-ლი. გკითხა თვით ვაჭარ ფ-სათვის და ის აუხსნიდა საქმის გარემოებას. ამ დაწესებულებებზე „ნახურისპირელმა“ რაც უნდა ჩმახოს მაინც ვერაფერს დააკლებენ. ხოლო მეორეთ სტვირის ამღები „ფაჩუთ“ მონათლული უსუსური რომ „დათვის სამსახურს“ ეწევა ეს კი ვერ მომითმენია და სწორეთ მისმა მესტვირულმა გამომიწვია საპასუხოთ. ყველამ იცის, რომ უბრალო პროვინციაში კი არა ამ უბედურ ხანში დიდ ქალაქებშიც კი ძნელია კულტურულ საქმის უანგარო მუშაკთა ჯგუფის შედგენა, ერთი ათათ უფრო ძნელი იყო არსებულ პირობების გამო,“ სამეგრელოში იმ საქმის მუშაკთა შეკავშირება, რომელსაც ჰქვიან წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება. მიუხედავად ათას გვარი დაბრკოლებისა წელს აქ ასეთი ჯგუფი მაინც შესდგა. დაარსდა განყოფილება, რომელსაც 80-მდე წევრი ყავს. 20 მაისს არჩეულ იქნა გამგეობა, რომელიც, შეძლების გვარად მედგრად შეუდგა საქმეს: შეკრიბა შემოწირულება, გამართა 29 ივნის სახალხო საერონობა, რამაც 500 მანეთამდე დასტოვა და ამ სახით 900 მანეთამდე მოაგროვა, ანგარიშები. 26 აგვისტოს დაიბეჭდა კიდეც ქართულ ორივე ყოველდღიურ გაზეთში. 30 აგვისტოს კი გამგეობამ სამკითხველოც გახსნა და აკურთხა, რაც ოფიციალურათ ეცნობა მთავარ გამგეობას და რაც მოხსენებული იყო ახალ ამბებში გაზეთების ფურცლებზე. ამის შემდეგ გადის ერთი კვირა და „მათრახში“ ვკითხულობთ „ფაჩუს“ უტიფარ მესტვირულს: გამგეობამ ერთი წლიწადის დიდძალი ფული მოკრიბა და „აგორავებსო“ „ჯერ ერთი წლისაც არა ვარ, შარშანწინ როგორ მნახეო“ ვკითხავდი მას, მარა ვიცი, რომ ისიც მეორე გმირის სიტყვებით მიპასუხებს.

ჩემდა უნებურად წერილმა მწვავე კილო მიიღო, არა იმისათვის რასაკვირველია, რომ პირადი შეურაცხყოფისათვის შურს ვიძიებდე, მე სრულიადაც არ მეხება ბ. ,,ფაჩუ‘‘ თავის ნაწარმოებში; ვერც იმათ პიროვნებას დააკლებს რასმე მისი ღვარძლიანი კილო, რომლებსაც ახსენებს თავის მესტვირულში. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ახლად წამოწყებულ საქმეს ამგვარი წერილები შეაფერხებენ, რადგან ბევრს გამოუწრთობელს დააფრთხობს და საქმეზე ხელს აღებინებს. ჩვენ აქ მთელს ენერგიას ვხარჯავთ, რომ სასურველი ელემენტები ახალ საქმეზე წავახალისოთ და გავაბედვინოთ, ,,ფაჩუები‘‘ კი ამდგარან და უტიფრად ცილს წამებენ იმისთანა პირებსაც კი, როგორიც არის თუნდ ის ყველასაგან პატივცემული და ამ საქმისათვის თავდადებით მშრომელი ქალი, რომელსაც ,,ფაჩუ‘‘ უზრდელად ,,ერთ ქალად‘‘ იხსენიებს ბ. ბ. ,,ფაჩუები‘‘ ნუ კი ფაჩუნობთ და ფუჩუნობთ ჭორებს: გამობრძანდით ნიღაბ ახდილი და იმუშავეთ

პოლიკარპე ლორთქიფანიძე.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს ჟურნალში ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს: „მათრახ-სალამურის“ № 12 მოთავსებულია წერილი, ამ სათაურით „მათრახი ბათუმისათვის„ ბ-ნი კვინწარისა, სადაც ის, სხვათა შორის, გვეხება ჩვენ ს. სურების თუთუნით მოვაჭრეებს და ვინ იცის რას არ გვაბრალებს. ბ-ნი კვინწარის აზრით ჩვენ ვართ ამ სოფლის უდიდესი ჩარჩები, უწინ ხალხის მომხრე სოციალისტები, რომლებსაც დაგვვიწყებია თავიანთი სოციალისტობა და ვატყუებთ ხალხს: ჩალის ფასათ ვიგდებთ ხელში მის მთელი წლის ნაკვდავ ნაღვაწს, თუთუნს, ბეთ ვაძლევთ რამდენიმე მანეთს, შემდეგ მოგვაქვს და როცა გავყიდით 5—5 მან. თვითონ ვიდებთ ჯიბეში, ხოლო დანარჩენს პატრონს მიუგდებთ“,

ბ-ნ კვინწარს, როცა ამას სწერდა, უთუოდ ხალხის ინტერესების დაცვა ქონდა სახეში, მარა გავკადნიერდებით და მოვახსენებთ მას, რომ ხალხის ინტერესების დაცვა არც ასე ზეპირათ, რაღაც და სადღაც განონილი ამბების გაზეთში გაჭრელებით შეიძლება. ის რომ არ აჩქარებულიყო, გაგონილი ამბები ცოტათი მაინც შეემოწმებია, ჩვენ დარწმუნებული ვართ ის იმ სტრიქონებს არ დასწერდა, თუ მართლა ხალხის სამსახური ქონდა სახეში.

მაშ რაშია საქმე? მოგახსენებთ: ჩვენ მართალია ვყიდულობთ თუთუნს, და არა მარტო სურებში, არამედ მთელ გურიაში სადაც კი მოყავთ ეს მცენარე. ჩვენს გარდა ყიდულობენ სხვებიც, გურიის სხვა სოფლების მცხოვრებნი, მარა რადგან ბ-ნ კვინწარს რაღაც მიზეზით მარტო ს. სურების ვაჭრები ამოუღია მიზანში, ამიტომ ჩვენ მარტო ჩვენზე მოგახსენებთ. მაშ დავიწყოთ: გურიის თუთუნი საზოგადოთ ძალიან ნაკლები ღირსების არის; ამასთან აქაურებს აკლიათ შესაფერი ცოდნა მის მოვლა-გაკეთებისათვის და ცხადია ასეთ საქონელს ბაზარიც არ ექნება ხეირიანი. რამდენჯერ შემოვიდნენ უცხო ადგილების ვაჭრები გურიის თუთუნის საყიდლათ, მარა მალე ისევ თავი გაანებეს. აი ასეთ თუთუნს ვყიდულობთ ჩვენ მეპატრონეებისგან დიდის ვაჭრობისა და შეთანხმების შემდეგ ფუთს დაახლოვებით ხუთი მანეთიდან შვიდ მანეთამდის, იმის მიხედვით, თუ როგორია ეს თუ ის საქონელი. ჩვენ შემდეგ ვარჩევთ, ხარისხებათ ვყოფთ, ცალებათ ვკრავთ, ტილოებს ვახვევთ და ამაზედ იმდენ ხარჯებსა და შრომას ვსწევთ, რომ ეს თუთუნი ჩვენ ადგილობრივათ, ბაზარზე მიტანამდის, უკვე საშუალოთ შვიდ მანეთ ნახევარი და მეტიც გვიჯდება. შემდეგ მივდივართ მუშტარს ვეძებთ და **უკეთეს შემთხვევაში** ვყიდით ფუთს ბაზარზე მიტანილს (ამასაც ხომ ხარჯი უნდა) რვიდან-ცხრა მანეთამდის ერთი მეორეზე. მაშინ ფუთზე შეიძლება დაგვრჩეს მანეთი, მანეთ ნახევარი, რაც, რომ ვიანგარიშოთ პირადათ ჩვენი ამაზედ დახარჯული ძნელი შრომა რამდენიმე თვეობის განმავლობაში, შეადგენს დაახლოვებით არა უმეტეს 50 კ. თუ 1 მ. დღიურ ქირას და მეტს არაფერს. მოსაგებზე ლაპარაკი კი, არამც თუ ოთხი და ხუთი მან. ფუთზე, როგორც ბ-ნი კვინწარი ბრძანებს, არამედ ოთხი და ხუთი აბაზობითაც სრულებით ზედმეტია. ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ჩვენს დღიურ ქირას და იმასაც უკეთეს შემთხვევაში, რადგან ხშირად ისიც მოხდება, რომ სრულებით ვზარალობთ და ჩვენს ნაღდ ფულსაც ვდებთ ზედ. აი ასე გახლავს ნამდვილად საქმე. ეს გვგონია ჩვენ ჩვეულებრივი ვაჭრობა და სრულებით არა ჩარჩობა. მარა შეიძლება ბ-ნი კვინწარის აზრით საზოგადოთ ვაჭრობაც დანაშაულობაა თუნდაც სოციალისტების მხრით? რაც შეეხება ჩარჩობას-ეს კი სამარცხვინოა უთუოდ, მარა მკითხველისათვის მიგვინდვია, რამდენათ სამართლიანია ჩვენზე ეს სახელ-წოდება ზემოთ ნათქვამის შემდეგ.

რაც შეეხება ფულის მიცემას, მართალი მოგახსენოთ, ნაღდი ფული ძალიან ცოტა გვაქვს, მარა ძალით, ან მოტყუილებით მაინც არავის არაფერს არ ვართმევთ: ვინც გვენდობა და გვაცლის რამოდენიმე ნაწილს ხვედრი ფულისას გაყიდვამდის, იმისგან ნისიათ მოგვაქვს, ვინც არ გვენდობა, ან ფული ესაჭიროება ხელათ,, იმას კი ვაძლევთ, რამდენიც შეგვიძლია. აქაც საქმე ნებაყოფლობით თავდება და არა სხვა ნაირათ.

რომ ჩვენ მაინცა და მაინც დიდათ დაინტერესებული არა ვართ ამ თუთუნის ვაჭრობით და, რომ ხალხის ინტერესებს არც ისე ვუყურებთ როგორც ბ-ნი კვინწარი გვწამებს, ეს იქიდანაც სჩანს, ჩვენის აზრით, რომ ხალხს ჩვენ თვითონ მივეცით წინადადება თვითონ მოეწყო მას თუთუნის გაყიდვის საქმე და ჩვენ დახმარებასაც კი ვპირდებოდით, მარა არ მოახერხა ეს საქმე და თუ რატომ-ამაზე ლაპარაკი ეხლა შორს წაგვიყვანს,

დასასრულ ორიოდე სიტყვა იმ აგენტ ინტელიგენტებზე, რომლებიც ბ-ნ კვინწარის აზრით თვით ჩაფლულან მოგების მორევში (?) და გვეხმარებიან ნაჩარჩ თუთუნის გასაღებაში.“

საკვირველია, რათ დასჭირდა ბ-ნ კვინწარს აქ ამ ინტელიგენტების გამოხტუნება?! მთელი დანაშაულობა ამ უკანასკნელთა, ჩვენის აზრით, იმაშია, რომ ისინი ცდილობენ უცხოელი მუშტარი გამონახონ და ამ რიგათ გურიის თუთუნს როგორმე ბაზარი მოუპოვონ. ნუ თუ ესეც ჩარჩობაა, სოციალისტობის უარ ყოფა და ხალხის დალატი?! ჩვენ არა გვგონია, მარა ვინ იცის..

აი, ბ-ნო რედაქტორო, მოკლეთ მთელი საქმის გარემოება. თუ ამის შემდეგ ბ-ნი კვინწარი კიდევ განაგრძობს შეუმოწმებელი ამბების გაზეთში ბეჭდვას და მით უდანაშაულო ხალხის ლაფში გასვრას, მაშინ ჩვენ ვეცდებით უფრო გრცლად შევეხოთ ამ საკითხს.

სურებელი მეთუთუნეები.

ბ-ნო რედაქტორო! „მათრახ-სალამურის" მე 16 ნომერში მოთავსებულია ფოთიდან ბ-ნი ვოლდემარის წერილი, რომელშიაც ის ეხება მისა დუნდუას. ცილსა სწამებს მას თითქო განგებ იგონებდეს სტუდენტობას და ამით შეცდომაში შეჰყავდეს საზოგადოება.

გაუწყებთ რომ აღნიშნული დუნდუა უკვე სამი წელიწადია სტუდენტად ირიცხება (ჩემთან ერთად) მიუნხენის პოლიტეხნიკუმში.

ა. მეტრეველი.

რედაქცია „მათრახი-სალამურის" სხვა გზით ც დარწმუნდა კორესპონდენტი ვოლდემრის მიერ დუნდუას შესახებ მოწოდებულ ცნობის შეცდომაში და ამიტომ სავსებით ემოწმება ა. მეტრეველის შენიშვნას.


# თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს დილის $12^1/_2$ საათზე აკურთხებენ ახლათ გახსნილ სამკურნალოს, რაზედაც იწვევენ ყველა თანამგრძნობ პირთ. ავათმყოფებისმიღება დაიწყება 2 ოქტომბრიდან სპეციალისტ ექიმების მიერ.

**ბალარჯევი გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი, შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილიძე გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი გ. მ.** შინაგანი. ორშ. ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშაბ, ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირაძოვი რ. ბ.** ქირურგ. ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11.

**სობოლევსკი გ. ფ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. გ.** დედაკ. სენებით ყოველდღე 1—2 ს.

**ფედოროვი მ. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—б—1)



იუმორისტულ-პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

# „მათრახი და სალამური"

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის" ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.



დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ირეთელისა

# ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.


ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი ი. ტურაბელიძე.